მოსკოვი. “ტორპედოს” სტადიონი. 8 აგვისტო.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

“ტორპედო”: ზარაპინი, კრუგლოვი, ჟუპიკოვი, ბუტურლაკინი, პრიგოდა, პეტრენკო, ფილატოვი (პიმუშინი), ვასილიევი, იურინი (ზალიოტოვი), ლოსევი, გრაჩოვი.

“დინამო”: გოგია, გ. მაჩაიძე, სულაქველიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, კაკილაშვილი, ჩელებაძე, შენგელია.

მსაჯი: ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

გაფრთხილებული არიან ლოსევი, ჩელებაძე.

დუბლიორები - 1:0.

თბილისის “დინამოს” უპირატესობა ამ მატჩში პირველი წუთებიდან აშკარა იყო. გუნდი მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან და მას მერეც, როცა ანგარიში გაიხსნა, არ შეუწყვეტია იერიშები. ქების ღირსია ახალგაზრდა თავდამსხმელი კაკილაშვილი, რომელმაც კარგად აუბა მხარი თავის პარტნიორებს. შორს წაგვიყვანდა იმ შემთხვევების ჩამოთვლა, როცა თბილისელებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. საამისო შესაძლებლობები ჰქონდათ ჩელებაძეს, კაკილაშვილს, შენგელიას, დარასელიას, მ. მაჩაიძეს, გ. მაჩაიძეს, მაგრამ ზოგიერთი ამ გადამწყვეტ დარტყმათაგან არ იყო ზუსტი, სხვა შემთხვევაში საუკეთესოდ ითამაშა მოსკოველთა მეკარემ ზარაპინმა.

მიმდინარეობდა 31-ე წუთი, როცა კაკილაშვილმა ბურთი გადასცა დარასელიას, მან - შენგელიას და ტორპედოელებს ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შედარებით გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ საერთო ინიციატივას კვლავ დინამოელები ფლობდნენ. მატჩის დასასრულს შვიდიოდე წუთი აკლდა, როცა მოსკოველებმა შეძლეს კონტრიერიშებზე გადასვლა, დინამოელთა კართან შექმნილ არეულობაში ყველას დაასწრო პეტრენკომ და გაათანაბრა ანგარიში - 1:1. თბილისელებმა ხელიდან გაუშვეს თამაშის მოგების აშკარა შესაძლებლობა.

ლელო 11.08.79